ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს

სხდომის

## დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ირინე ჩხეიძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: დავით დევდარიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 12

2020 წლის 03 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე** - მანანა ბარბაქაძე,
**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები** პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, ინგა მაღრაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე , სულ საკრებულოს 27 წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მერიის წარმომადგენელი:**

**ირინე ჩხეიძე** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი,

**დავით დევდარიანი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი,

**ვლადიმერ გელაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

**ნანა კიკნაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

**საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:**

**ლენა კალანდაძე**– საკრებულოს აპარატის უფროსი,

**ზაალ ორბელაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

**ნინო თხელიძე** -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

**ივანე ჭიპაშვილი** -საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**

**ე. შავიძე** -ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი“-ს დირექტორი ,

**ნ. კაპანაძე** – გაზეთ „ჩემი იმერეთი“-ს ჟურნალისტი.

**მოისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

## დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ირინე ჩხეიძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: დავით დევდარიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2020** წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **5** თებერვლის **N5** დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ‘’ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის **ირინე ჩხეიძის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**ლ. .აბაშიძემ,** მადლობა გადაუხადა სამსახურის ხელმძღვანელს გაწეული საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ დადებითად აფასებს. მან ასევე დახმარება სთხოვა მერის მიერ გაცემული დაპირების აღსრულებაში, რაც შეეხებოდა კულტურისა და სპორტის ა.ა.ი.პ -ის მიერ ჩატარებული ღონისძიების გამარჯვებული მოსწავლეების ექსკურსიაზე წაყვანას.

**ი. ჩხეიძემ** დაპირდა, რომ სასწავლო წლის დაწყებისას აუცილებლად შესრულდება ეს დაპირება.

**ე. შველიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამსახური ყოველთვის გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, მათ მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება არის მარალი ხარისხის.

**ჯ. გამცემლიძემ** აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად, და დაინტერესდა თუ რატომ აღარ ტარდება ოდეონი.

**ი. ჩხეიძემ** უპასუხა, რომ ამისათვის საჭიროა თანხა დაახლოებით 10 000 ლარის ოდენობით და ჯერჯერობით სამსახურმა ვერ შეძლო აღნიშნული თანხის მოძიება.

**ვ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა,, რომ კულტურის ა.ა.ი.პ.-თან კოორდინირების საკითხი არის განსაზღვრული, მაგრამ პირდაპირ თუ ირიბად მაინც არის თქვენს სამსახურთან

დაკავშირებული, აიპ -ს ხელმძღვანელმა ნ. მაჭავარიანმა დაგვპიდრა, რომ თანხებს მოიძევდა და მოახმარდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თუმცა არ გააკეთა , აქ მნიშვნელოვანია თქვენი აქტიურობა, ასევე მინდა შევეხო სოფლის ბიბლიოთეკარების ხელფასებს. ბიუჯეტის დამტკიცების დროს ვთქვით, რომ მათი ხელფასები გაიზრდებოდა, რაც არ მომხდარა, კარგი იქნება თუ დეპუტატებსაც გვექნება ინფორმაცია სოფლებში ღონისძიებების ჩატარების შესახებ, იყოს ჩვენი ჩართულობაც. სამსახურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის დავით დევდარიანის ანგარიში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**ი. მაღრაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახური პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ სახელით სამსახურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ** (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**ვ. ჭიპაშვილმა** წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა არის ცუდი, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების ნაწილში, ძირითადად ეს მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობიდან, პანდემიის დროს გარკვეული შეფერხებები მოხდა თუმცა მარტო პანდემიასაც ნუ დავაბრალებთ, მერიის სესაბამისმა სამსახურებმა ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, ასეთი ცუდი მაჩვენებელი ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არ გვქონია.

**ი. მაღრაძემ** აღნიშნა რომ თანხები, რომლებიც ჩვენ გადავიხადეთ ბიუჯეტიდან და დავაბრუნეთ, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაგვისვამს შეკითხვა თუ ვისი ბრალეულობა იყო ეს მერიის იურისტისგან მე სრულყოფილი პასუხი ვერ მივიღე, რატომ არ

გასაჩივრდა საკითხი შემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

**თ. ავალიშვილმა** მომხსენებელს მოსთხოვა მუხლების ჩამონათვალი, რომლებშიც შემოსავლები შემცირდა პანდემიის პერიოდში

**ვ. გელაშვილმა** პანდემიამ გავლენა იქონია: დ.ღ.გ. -ზე, ვაჭრობიდან შემოსავლებზე ჯარიმებიდან შემოსავლებზე და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ გამართულა**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ‘’ ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ გამართულა**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**საკრებულოს თავმჯდომარე** მანანა ბარბაქაძე